

ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N125 საცხოვრებელი სახლის
N25 ბინაზე, მოქალაქე მარინა დვალისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა დავით აღმაშენებლის გამზირი N125/25 ბინაში მცხოვრები მოქალაქე მარინა დვალის წარმომადგენლის ირა დვალის განცხადება /2014 წლის 10.03 Nდ-1561/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N125 საცხოვრებელი სახლის N25 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე მარინა დვალის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 652 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N125 საცხოვრებელი სახლის N25 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მარინა დვალს /პირადი N60001010071/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N125 საცხოვრებელი სახლის N25 ბინაზე, საერთო ფართობი 35,79 კვ.მ, /საცხოვრებელი ფართობი 16,65 კვ.მ, დამხმარე ფართობი 19,14 კვ.მ./ მოქალაქე მარინა დვალის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

შ.მურღულია